



IBSU

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამა

21-ე საუკუნის რთული არჩევანი: პოსტსაბჭოთა სივრცის კონფლიქტები და უსაფრთხოება

თამთა ცხოვრებაძე

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი

თბილისი, 2018

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

კონსტანტინე ჟღენტო

(სახელი, გვარი)

დოქტორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

(აკადემიური წოდება)

(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები (სახელი, გვარი & აკადემიური წოდება):

1. პროფ. დოქტ. ამირან კავაძე

2. პროფ. დოქტ. თამარ კიკნაძე

ოპონენტები (ექსპერტები (სახელი, გვარი & აკადემიური წოდება):

1. პროფ. დოქტ. მიხაილ სტანჩევ

2. ასოც. პროფ. დოქტ. ზაზა ცოტნიაშვილი

შესავალი

უსაფრთხოება ადამიანთა ცხოვრების დედაარსი და განუყოფელი ნაწილია. იყო დაცული ნიშნავს იყო საფრთხეებისა და შიშისაგან თავისუფალი. უუნარობა რათა უზრუნველჰყონ დაცული და უსაფრთხო ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკის გატარება საკმაოდ მწვავედ დგას პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს შორის. ნაშრომი მიზნად ისახავს საფრთხეებისა და საშიშროებების ანალიზს სახელმწიფოს გადმოსახედიდან.

სახელმწიფო, რომელიც საკმარისად ძლიერია სწორი მმართველობისა და სახელმწიფო ინსტიტუტების შესაბამისი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად შეიძლება მივიჩნიოთ ძლიერ უსაფრთხოების ორგანიზაციად. თუმცა, გლობალიზაციის პირობებში გაზრდილი ურთიერთდამოკიდებულება და „ძალისმიერი პოლიტიკა“ ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს სახელმწიფოებს.

რეგიონში მიმდინარე და ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა გამოიწვია გარკვეული იმედგაცრუება და ამასთან, დაადგინა წინაპირობები გარკვეული მოლოდინებისთვის. საბჭოთა კავშირის დაშლის პირველი დღეებიდან მოყოლებული, როდესაც რეგიონში არსებულმა ქვეყნებმა გამოაცხადეს დამოუკიდებლობა, უსაფრთხოების დონე აღნიშნულ ქვეყნებში მუდმივად განიცდიდა ცვლილებას. რეგიონის ქვეყნები ხშირად აღნიშნავდნენ, რომ პოსტ-საბჭოთა სივრცის შესაბამისი საფრთხეები გამოწვეული იყო გარე ძალების გამიზნული ქმედებებითა და ჩარევით, რათა დაესუსტებინათ რეგიონის ქვეყნები და შესაბამისად ჰქონოდათ ფეხის მყარად მოკიდების საშუალება. პასუხად რეგიონის ქვეყნებმა ჩამოაყალიბეს საკუთარი, მკაფიო პარადიგმა საფრთხეების აღქმასა და მათ იდენტიფიცირებასთან მიმართებაში. მიუხედავად ამისა, ცვლილებები არ იყო გენერირებული რეგიონის ქვეყნებში მიმდინარე ცალკეული შიდა პროცესების განვითარების შედეგად და არც იმ გარე ძალების პოლიტიკის შედეგად, რომლებიც ისტორიულად ყოველთვის ზემოქმედებდნენ რეგიონზე. ეს ცვლილებები განსაზღვრა ორივე, ურთიერთდამოკიდებულმა ფაქტორებმა.

პოსტ-საბჭოთა ქვეყნების ძირითად პრობლემას წარმოადგენს: ცვალებადი რეგიონალური უსაფრთხოება, გადაუჭრელი კონფლიქტები, სამხედრო-პოლიტიკური საფრთხეები, სოციალურ-ეკონომიკური პობლემები და სხვა შიდა თუ გარე საფრთხეები.

რეგიონში არსებული ვითარება შეიძლება განვიხილოთ რეალიზმის ჭრილში. ამჟამად რეგიონში არსებული მდგომარეობა რამდენადმე პოლარიზებულია გამომდინარე იქიდან, რომ რეგიონში არსებულ თითოეულ სახელმწიფოს ყავს სხადასხვა სტრატეგიული პარტნიორი და შესაბამისად აქვთ პირადი სახელმწიფო ინტერესები. მხოლოდ 3 ქვეყანა - საქართველო, მოლდოვა და უკრაინა - ცდილობს აქტიურად თავი დააღწიოს რუსეთის გავლენას და ილტვიან ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანებისაკენ. ხოლო სხვა ქვეყნებში ჯერ კიდევ ავტორიტარული მმართველობის მოდელია შემორჩენილი და შესაბამისად, მათი ხედვა დასავლეთისკენ არ არის მიმართული.

შავი ზღვის რეგიონის კონფლიქტები ცხადყოფს, რომ ეთნიკურ ჯგუფებს შორის აღმოცენებული დაპირისპირებები წარმოადგენს საფრთხეს არა მარტო ცალკეული ქვეყნების, არამედ მთელი რეგიონისათვის და არის ყველაზე მწვავე საკითხი, რომლის წინაშეც რეგიონის უსაფრთხოება დგას.

ამასთან, ე.წ. „ენერგო თამაშების“ ეპოქაში, რეგიონმა უდიდესი მნიშვნელობა მოიპოვა და საერთაშორისო ყურადღების ცენტრშიც მოექცა. ჰიდროკარბონებით მდიდარი თითოეული რეგიონი, პოტენციალით - გახდეს ენერგო მომწოდებელი, განსაკუთებით მნიშვნელოვანია ენერგო დამოკიდებული ქვეყნებისათვის. ეკონომიკური ფაქტორების გარდა, რეგიონი ასევე მნიშვნელოვანია სამხედრო-პოლიტიკური საკითხებიდან გამომდინარე. რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა, მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა და რეგიონის ქვეყნების ჩართულობა სამშვიდობო ოპერაციებში, დამატებითი აქტივია საერთაშორისო ყურადღების ეპიცენტრში ყოფნისათვის. ამ მიზეზების გათვალისწინებით, პოსტ-საბჭოთა სივრცე გადაიქცა მრავალმხრივ ინტერესთა არენად და შიდა და გარე მოთამაშეების, ისევე

როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების, ჩართულობა გაიზარდა რეგიონულ პოლიტიკაში.

პრობლემის ანალიზი, კვლევის მიზნები და ამოცანები

თეზისის მიზანია მოახდინოს პოსტ-საბჭოთა სივრცეში არსებული გამოწვევებისა და საფრთხეების ანალიზი, აამაღლოს მკითხველთა ცნობიერება რეგიონში არსებულ კონფლიქტებსა და რისკებთან მიმართებაში, მოახდინოს მიმდინარე პროცესების ანალიზი და გამოავლინოს თუ რა შედეგებს იქონიებს არსებული საფრთხეები და გამოწვევები სამხედრო-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და საინფორმაციო პროცესებზე.

კვლევის მიზანია პოსტ-საბჭოთა კონფლიქტებისა და უსაფრთხოების მნიშვნელობის განსაზღვრა, წარმატებული მოლაპარაკებების წარმოებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობის მნიშვნელობის გამოვლენა და შესაბამისი სამომავლო პერსპექტივებისა და კონფლიქტების გადაჭრის გზების იდენტიფიცირება.

ნაშრომის ერთ-ერთი მიზანია შეცვალოს ხალხში გამეფებული მსოფლმხედველობა კონფლიქტების გადაჭრის გზებთან მიმართებაში და გამოიკვლიოს თუ არსებობს (ან არსებობდა) ობიექტური წინაპირობა სხვაგვარი გეოპოლიტიკური სურათის მისაღებად რეგიონში. ამასთან, ნაშრომი პასუხს ცემს კითხვას - თუ რამდენადაა მზად დასავლეთი, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი, დაიცვან როგორც თავისი, ასევე მოკავშირეთა ინტერესები პოსტ-საბჭოთა ტერიტორიაზე.

საკვლევი საკითხი

ნაშრომის მიზანია პასუხი გასცეს მთავარ კვლევის კითხვებს: რა ცვლილებები განიცადა პოსტ-საბჭოთა სივრცეში უსაფრთხოების პოლიტიკასთან მიმართებაში? რა გაკვეთილი ვისწავლეთ წარსულის გამოცდილებიდან? რომელი ძირითადი ფაქტორები განაპირობებს ცვლილებებისკენ სვლას? რა ძირითადი პრობლემები და

საკითხები მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას დღესდღეობით და რა არის ამ პრობლემების გადაჭრის პოტენციური გზები? აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემით შევძლებთ არსებული სიტუაციის შეფასებასა და რეკომენდაციების მომზადებას პრობლემების მოგვარების გზების გამოსავლენად.

თეორიული მნიშვნელობა და პრაქტიკული დანიშნულება

მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების მცნება თავის თავში გულისხმობს რამდენამდე შეზღუდულ განმარტებას, მაინც შეუძლებელია პოსტ-საბჭოთა სივრცის კონფლიქტებისა და უსაფრთხოების 21-ე საუკუნის ლეგიტიმური საკითხების სრული ანალიზის დატევა ერთ ნაშრომში. რეგიონალური უსაფრთხოების შეფასების პროცესში, ნაშრომი მიზანად ისახავს არა მხოლოდ „checklist“ - ის მომზადებას უსაფრთხოების საკითხებსა და შესაბამის სამომავლო პერსპექტივებზე, არამედ გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები გამოტანილია ანალიტიკური და თემატური ანალიზის საფუძველზე.

ნაშრომში დეტალურად არის განხილული შემდეგი საკითხები: რეგიონალური უსაფრთხოების დეფიციტი, გამყოფი ინტერესები რეგიონის ქვეყნებს შორის, გარე ძალების ჩართულობა და რეგიონალური პოლიტიკის მომავალი. ასევე, რეგიონალური პოლიტიკის ცვალებადი ბუნება, ხელისშემშლელ და დამაბრკოლებელ ფაქტორებთან ერთად.

ნაშრომის შედეგები არ არის დაფუძნებული მხოლოდ თეორიურ ვარაუდებსა და დასკვნებზე. ანალიზი და დასკვნები ასევე ითვალისწინებს სფეროს ექსპერტთა მოსაზრებებსა და კომენტარებს, ასევე გამოყენებულია ჩატარებული კვლევისა და ინტერვიუს შედეგები.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა გამომდინარეობს მისი აქტუალობისა და სიახლისაგან. ნაშრომის შედეგები და მასში გამოთქმული მოსაზრებები დააინტერესებს შემდეგ მიზნობრივ ჯგუფებს: მკვლევარებს, დარგის პროფესიონალებს, მასმედიის წარმომადგენლებს, არასამთავრობო ორგანიზაციების

წარმომადგენლებს, სტუდენტებს, აკადემიური სფეროს წარმომადგენლებსა და ყველას, ვინც დაინტერესებულია პოსტ-საბჭოთა სივრცითა და კონფლიქტოლოგიით.

ამასთან, კვლევის შედეგებმა შესაძლებელია პოზიტიური გავლენა იქონიოს შერიგებისა და კონფლიქტების დარეგულირების პროცესზე, განსაკუთრებით „სახალხო დიპლომატიის“ განვითარებასა და მისი დადებითი ზეგავლენის ჩამოყალიბებაზე. ნაშრომი ასევე დაეხმარება ხალგაზრდა მკვლევარებს შემდგომი კვლევების განხორციელებაში.

აქტუალობა და სიახლე

პასუხი კითხვაზე თუ რატომ არის პოსტ-საბჭოთა სივრცე მნიშვნელოვანი, მოიცავს რამდენიმე ფაქტორს:

- გეოპოლიტიკური მდებარეობა და თანმდევი პროცესები განსაზღვრავს რეგიონის მნიშვნელობას;
- მდიდარი ბუნებრივი რესურსები - განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ევროპა დგას ენერგო-დივერსიფიკაციის პრობლემის წინაშე, ხოლო რუსეთი რეგულარულად იყენებს ენერგო რესურსებს პოლიტიკური მიზნებისათვის;
- რუსეთის დამპყრობლური და იმპერიალისტური ბუნება კიდევ ერთი ფაქტორია რეგიონისათვის შესაბამისი მნიშვნელობის მისანიჭებლად. რუსეთის მისწრაფებები დაიბრუნოს იმპერიისდროინდელი საზღვრები აშფოთებს დასავლეთსა და მთელ საერთაშორისო საზოგადოებას;
- და ბოლოს, რეგიონში არსებული კონფლიქტები და რუსეთის მიერ მეზობელი ქვეყნების მიმართ (მაგ. საქართველო და უკრაინა) გამოვლენილი სამხედრო აგრესია კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს რეგიონალური უსაფრთხოების მნიშვნელობას.

თუ გავითვალისწინებთ 2008 წლის აგვისტოს ომს და 2014 წელს უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს, ასევე სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ბოლო

დროინდელ სამხედრო დაპირისპირებას, რეგიონში მიმდინარე პროცესები განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და აქტუალობას იძენს.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, რეგიონის ქვეყნების უმეტესობა (მცირე გამონაკლისების გარდა) იზიარებს მსგავს უსაფრთხოების პრობლემებს. პრობლემები შეიძლება განვასხვავოთ მათი ინტენსივობისა და მოცულობის მიხედვით, რაც დამოკიდებულია ქვეყნის სიდიდესა და მდებარეობაზე. თუმცა, მიუხედავად ამ განსხვავებებისა, რეგიონის ქვეყნების უმეტესობა, მათი ჩამოყალიბების პირველივე დღეებიდან, ერთ ნავში არიან.

ტრადიციული საფრთხეებისა და გამოწვევების პარალელურად, „ახალი“ საფრთხეების იდენტიფიცირება და მნიშვნელობა დღესდღეობით გაცილებით მცირეა. მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების ხელისშემშლელი მახასიათებლების იდენტიფიცირება, კონფლიქტების გადაჭრის წარმოდგენილი მეთოდები და შერიგების პოლიტიკაში სახალხო დიპლომატიის როლის წარმოჩენა ნაშრომის ერთ-ერთი სიახლეა.

მეთოდოლოგია

გლობალური, რეგიონალური და საშინაო საერთო მახასიათებლების პარალელური ანალიზი მიზნად ისახავს რეგიონის უსაფრთხოების პრობლემისა და მახასიათებლების ვრცელი სურათის წარდგენას.

ინტერდისციპლინარული კვლევის მეთოდები არის ცენტრალური მეთოდოლოგიური საშუალება, განსაკუთრებით კონფლიქტების სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური, ისტორიული და გეოპოლიტიკური მიზეზების ანალიზი.

ნაშრომი მოიცავს შერეულ მეთოდოლოგიას, თვისობრივსა და რაოდენობრივ მეთოდებს. ამასთან, გამოყენებულია ტექსტუალური მონაცემების ანალიზის ფორმატი, როგორც ინფორმაციის მოპოვების მნიშვნელოვანი საშუალება და

ნახევრად-სტრუქტურული მეთოდები, როგორცაა ფოკუს-ჯგუფის შერჩევა და შინაარსობრივი ინტერვიუები.

აღნიშნული მეთოდები გამოყენებულია პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნების რუსეთის ძალისმიერი და რბილი პოლიტიკის უფრო სიღრმისეულად აღსაქმელად. რაც შეეხება თვისობრივ მეთოდებს, ნაშრომი მოიცავს ინტერვიუს, ღია კითხვებით. რაც არ ზღუდავს რესპონდენტს უპასუხოს მხოლოდ „კი“ ან „არა“ პრინციპით და აძლევს საკუთარი მოსაზრების სრულად გამოხატვის საშუალებას.

ტექსტუალური მონაცემების ანალიზისა და ინტერვიუს გარდა, მაღალი თანამდებობის პირების მოხსენებები, მოსაზრებები და არტიკლები იქნა გამოყენებული როგორც პირველადი ინფორმაციის რესურსი. რაც შეეხება მეორად რესურსებს - წიგნები და სამეცნიერო მასალები იქნა გამოყენებული. რეგიონში დემოკრატიზაციის მიმდინარე პროცესების უკეთ გასაცნობად NDI-სა და სხვა პირველადი კვლევების შედეგები იქნა გამოყენებული.

ხოლო რაც შეეხება ნაშრომის ფარგლებში მომზადებულ კვლევას, გამოყენებულ იქნა განმეორებითი კვლევის დიზაინის ფორმატი. კვლევის მონაწილეები მიზნობრივად იქნენ შერჩეულნი, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი მონაცემები შეესაბამებოდა ძირითადი საკვლევი მასალის მოთხოვნებს.

დისერტაციის სტრუქტურა

დისერტაცია შედგება შესავალი ნაწილის, ოთხი თავისა და მათში შემავალი შესაბამისი ქვეთავებისაგან. ნაშრომს ასრულებს დასკვნები და რეკომენდაციები, რომელიც აჯამებს რეგიონის უსაფრთხოების მთლიან სურათს, ახდენს სამომავლო განვითარების პერსპექტივების ანალიზს და იძლევა რეკომენდაციებს 21-ე საუკუნის რთული არჩევანის შესახებ, ასევე გამოსცემს დასკვნებს რეგიონალური და გლობალური პროცესების გაძლიერებასთან დაკავშირებით.

დისერტაციის მოკლე შინაარსი

თავი I: ლიტერატურის მიმოხილვა

21-ე საუკუნის დასაწყისი გამორჩეულია მძიმე გამოწვევებით მსოფლიოს მასშტაბით, თუმცა ეს გამოწვევები დომინირებს პოსტ-საბჭოთა ქვეყნების უსაფრთხოების დღის წესრიგშიც. დღეს, უთანასწორობა მდიდრებსა და ღარიბებს შორის გაცილებით აშკარაა, ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულების დონე (გლობალიზაციით გამოწვეული) ჩაგრავს შედარებით სუსტ და ღარიბ ქვეყნებს. ახალი შეიარაღებული კონფლიქტები წარმოიშვა, როგორცაა მიმდინარე მოვლენები უკრაინაში და ესკალირებული ე.წ. „გაყინული“ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი. აღნიშნულმა კონფლიქტებმა ცხადყო თუ როგორ შეიძლება დამაბული სიტუაციები გადაიზარდოს ფართო-მასშტაბიან საომარ ოპერაციებში. მშვიდობის დამყარების პროცესი მოითხოვს ბიძგს რეგიონალური და საერთაშორისო ძალების მხრიდან.

ექვგარეშეა, რომ კონფლიქტები წარმოადგენს უსაფრთხოების ძირითად გამოწვევას ნებისმიერ დონეზე, დაწყებული ოჯახით და დამთავრებული მსოფლიო მასშტაბით. კონფლიქტურ სიტუაციებში შეუძლებელია ნამდვილი, სტაბილური და გრძელვადიანი უსაფრთხოების მიღწევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცნობილია რომ ნამდვილი, სტაბილური და გრძელვადიანი უსაფრთხოების განსამტკიცებლად აუცილებელია შემდეგი:

- ობიექტურად და ზედმიწევნით განისაზღვროს არსებული და პოტენციური საფრთხეები (სირთულეები - ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმები);
- მოხდეს საფრთხის ნეიტრალიზება (რამდენადაც შესაძლებელია თავიდან აცილების გზით);
- უკვე არსებული კონფლიქტების შემთხვევაში, გადაიჭრას ისინი იმდენად სწრაფად რამდენადაც შესაძლებელია.

მშვიდობისა და უსაფრთხოების შემსწავლელი ლიტერატურა გვთავაზობს, რომ გარკვეული პროგრესია მიღწეული 21-ე საუკუნის „დაცვითი არქიტექტურის“

ჩამოყალიბებაში, მშვიდობისა და უსაფრთხოების ეფექტური დაცვის მიზნით. ერთ-ერთი ეფექტური საშუალება რეგიონში უსაფრთხო ატმოსფეროს კონტროლისა და მართვისათვის მტკიცდება სამშვიდობო ოპერაციების მანდატის პოლიტიკური დონით.

იმისათვის რომ გავაანალიზოთ კონფლიქტები და უსაფრთხოება, აუცილებელია ვიცოდეთ შესაბამისი თეორიები. კონფლიქტური სიტუაციების წარმოშობის მთავარი საფუძველი უთანასწორობაა. უთანასწორობასა და კონფლიქტს შორის არსებული კავშირი ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ ჩამოაყალიბეს საერთაშორისო ურთიერთობების თეორისტებმა. მაგალითად, კარლ მარქსი ფიქრობდა, რომ საზოგადოება შედის კონფლიქტის ფაზაში არასაკმარისი რესურსებიდან გამომდინარე. ის ასევე ამბობდა, რომ დომინაცია და ძალაუფლება აუცილებელია სოციალური წყობილების განსამტკიცებლად, უარყოფდა ამ პროცესში კონსენსუსისა და კონფორმულობის სტრატეგიულ მნიშვნელობას. აღნიშნული თეორია გვთავაზობს, რომ მდიდარი და ძალაუფლების მქონე პირები იბრძვიან უფრო მეტი ძალაუფლებისათვის ყველა შესაძლო ხერხით, ძირითადად შედარებით სუსტების და წინააღმდეგობის გაწევის უნარის არ მქონეთა დაჩაგვრის ფონზე.

ჰოროვიცის (1985) თეორია ანიჭებს გაცილებით დიდ მნიშვნელობას ეთნიკურ ფაქტორებს, რომლებიც თან ახლავს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებს. მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკური მრავალფეროვნება თავისთავად არ ჩანს ომის გამომწვევი ფაქტორი, თუ გადავხედავთ რეგიონის კონფლიქტებს ეთნიკური პრობლემა ყველა მათგანში იჩენს თავს.

ბოლო დროს, საერთაშორისო ურთიერთობების დარგმა რევოლუციური ცვლილებები განიცადა კონფლიქტოლოგიასთან მიმართებაში. თუ ადრინდელი თეორისტები მიიჩნევდნენ, რომ ინდივიდები, სახელმწიფოები და სახელმწიფო წყობილებები იყო კონფლიქტის განმსაზღვრელი ფაქტორები, შედარებით ახალი „ვაჭრობის (გარიგების) თეორია“ განიხილავს ომს, როგორც დაპირისპირებული მხარეების წარუმატებლობას მიაღწიონ შეთანხმებას. შესაბამისად, ორივე მხარე გაცილებით რთულ სიტუაციაში აღმოჩნდება, ვიდრე მაშინ თუ მოახერხებდნენ

მოლაპარაკებას და იპოვნიდნენ კონფლიქტის ეფექტურად და მშვიდობიანად მოგვარების ყველასათვის მისაღებ გზებს.

მიუხედავად კონფლიქტის გამანადგურებელი არსისა, კონფლიქტის შედარებით დადებით ასპექტებზე საუბრები გააქტიურდა უკანასკნელ ხანებში. მიუხედავად იმისა, რომ უმეტესობა ჩვენგანი განვიხილავთ კონფლიქტს როგორც უარყოფით მოვლენას, მას მაინც აქვს როგორც უარყოფითი ასევე დადებითი ასპექტები. ეს მახასიათებლები ცხადად ჩანს როგორც დაპირისპირების პროცესის დროს ასევე, მის შედეგად.

თავი II: პოსტ-საბჭოთა სივრცის უსაფრთხოების ზოგადი მიმოხილვა

მიუხედავად იმისა, რომ ორ ათწლეულზე მეტი გავიდა, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, მისი მემკვიდრეობა ჯერ კიდევ განსაზღვრავს უსაფრთხოების ასპექტებსა და ურთიერთობებს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის და მათ თანამშრომლობას მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან. გასული საუკუნის 90-იან წლებში მიჩნეული იყო, რომ მშვიდობა და უსაფრთხოება იყო არა მხოლოდ ამ რეგიონის, არამედ მთელი მსოფლიოს ინტერესებში, განსაკუთრებით რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობიდან და გეო-სტრატეგიული პოტენციალიდან გამომდინარე.

გარდა გეოპოლიტიკური მდებარეობისა, პოსტ-საბჭოთა სივრცის სტაბილურობას საფრთხეს უქმნის სხვადასხვა ადგილობრივი და ტრანსნაციონალური უსაფრთხოების გამოწვევები, როგორებიცაა: კონფლიქტები, სოციო-ეკონომიკური სირთულეები, ტერორიზმი, ორგანიზებული დანაშაული, ტრეფიკინგი და მიგრაცია. რადგან რეგიონი დაყოფილია კონფლიქტებისა და დაპირისპირებული ინტერესებიდან გამომდინარე, ამ საფრთხეების გამკლავება მოითხოვს კოორდინირებულ რეგიონალურ თანამშრომლობას. მიუხედავად ამისა, რეგიონალური თანამშრომლობა არ არის სათანადოდ განვითარებული, რაც აფერხებს ეკონომიკურ განვითარებასა და უსაფრთხოებას და ხელს უწყობს რეგიონში სიტუაციის დესტაბილიზაციას.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ეთნიკურად, ლინგვისტურად და კულტურულად განსხვავებული ქვეყნები გაიფანტა რეგიონში. ახლადდაბადებული დამოუკიდებელი სახელმწიფოები იბრძოდნენ (და დღემდე იბრძვიან) ძლიერი საშინაო და საგარეო პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად და სახელწიფო სტრუქტურების გასაძლიერებლად, თუმცა მრავალფეროვანი მოსახლეობის ინტერესები და მრავალფეროვანი პოლიტიკა მათთან მიმართებით, ხშირად განაპირობებდა კონფლიქტური სიტუაციების არსებობას. ტაჯიკეთმა და საქართველომ გამოსცადა სამოქალაქო ომი, აჯანყებებმა და პროტესტის ტალღამ მოიცვა ყირგიზეთი, ხოლო შეიარაღებული კონფლიქტი წარმოიშვა მოლდოვეთსა და რუსეთში. თუმცა, რამოდენიმე ქვეყანამ დაამტკიცა, რომ მრავალკულტურული და მრავალეთნიკური საზოგადოება ყოველთვის არ არის კონფლიქტებისაკენ მიდრეკილი.

შავი ზღვის რეგიონის პოლიტიკურ სტაბილურობაზე მრავალი პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების ინტერესები ახდენს გავლენას. რეგიონში არსებული მდგომარეობა დინამიკური და კომპლექსურია, სადაც ბევრ რეგიონალურ და საერთაშორისო მოთამაშეებს აქვთ მნიშვნელოვანი ინტერესები, მაგალითად - რუსეთს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს.

რეგიონში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესები არ არის სასურველი რუსეთისათვის. საფრთხის შექმნა რეგიონის ქვეყნებისათვის (სამხედრო კონფრონტაციის გზით, ენერგო რესურსების გამოყენებით, ეკონომიკური (სავაჭრო) ომებით და ა.შ.) დამტკიცებული მექანიზმია რუსეთის მხრიდან შავი ზღვის აუზის ქვეყნების დემოკრატიის წინააღმდეგ. რუსეთმა გამოიყენა უკიდურესად მძიმე პოლიტიკა საქართველოსა და უკრაინასთან მიმართებაში, მოტივით - ხელი შეეშალა ორივე ქვეყნის მისწრაფებებისათვის ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გასაერთიანებლად. ამასთანავე, აჩვენა რეგიონის სხვა ქვეყნებს, რომ დემოკრატიზაციის პროცესებმა ყოველთვის შეიძლება ვერ უზრუნველყოს სტაბილურობა, უსაფრთხოება და წარმატება.

რუსეთის ძალისმიერი პოლიტიკის შედეგად, ახალი შეიარაღებული კონფლიქტები წარმოიშვა რეგიონში. რუსეთ-საქართველოს ომი დასრულდა

საქართველოს ტერიტორიის 20%-ის ოკუპაციით, ხოლო უკრაინაში მიმდინარე სამწუხარო პროცესები ჯერ კიდევ შორსაა დასასრულისაგან. 2014 წელს უკრაინაში პრო-დასავლური მთავრობის სათავეში მოსვლის საპასუხოდ რუსეთმა დაიკავა ყირიმი და მოგვიანებით დონბასის ანტი-უკრაინულ აჯანყებას ჩაუდგა სათავეში. ამით რუსეთმა ხაზი გაუსვა თავის ქმედებების დამოუკიდებლობას და ღიად გამოიწვია ვაშინგტონი.

თავი III: უსაფრთხოების ნაკლებობა რეგიონში

რეგიონის მთავარი გამოწვევა არსებული კონფლიქტებია: სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი, საქართველოში თვითგამოცხადებული აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის, უკრაინაში რუსეთის მიერ ანექსირებული ყირიმი და დე-ფაქტო, თვითგამოცხადებული დნესტრისპირეთი.

არსებული კონფლიქტების დარეგულირებისა და გადაჭრის გზებზე მსჯელობა გაცილებით რთულია, რადგან ყველა კონფლიქტმა უკვე გაიარა ე.წ. „ცხელი“, სამხედრო კონფრონტაციისა და სისხლისღვრის ფაზა. 2008 წლის აგვისტოს ომმა, ამჟამინდელმა დაპირისპირებამ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის და რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ, რეგიონალური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გააუარესა.

რეგიონში მიმდინარე კონფლიქტური სიტუაციები ყოველწიურად გრძელდება და ვითარდება გამოსავლისა და მათი გადაჭრის გზების არასებობის მიუხედავად. ნათელია, რომ მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რუსეთთან თანამშრომლობის გარეშე, არსებული კონფლიქტების მოგვარება არარეალურად ჟღერს.

ამასთან, ცალსახაა რომ საერთაშორისო საზოგადოება აქტიურად უნდა იყოს ჩართული რეგიონის პოლიტიკაში და რეგიონში დემოკრატიის განვითარების პროცესში, რათა დაიცვან მშვიდობა და უსაფრთხოება რეგიონში.

გარდა სამხედრო-პოლიტიკური უსაფრთხოებისა, რეგიონი სხვა მწვავე გამოწვევების წინაშეც დგას. მიუხედავად რეგიონის ქვეყნების განსხვავებული

ინტერესებისა და საფრთხეებისადმი განსხვავებული მიდგომებისა, ერთობლივი უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბება საერთო პრობლემებისა და გამოწვევების წინააღმდეგ ჯერ კიდევ შესაძლებელია. სოციალური, ეკონომიკური, ენერგო, სიანფორმაციო და გარემო პრობლემები, ასევე, ტერორიზმი, ნარკოვაჭრობა და ორგანიზებული დანაშაული წარმოადგენს საფრთხეს რეგიონის ყველა ქვეყნისათვის და შესაბამისად, წარმოადგენს პლატფორმას ერთიანი მოლაპარაკებების საწარმოებლად აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში.

თავი IV: სამომავლო პერსპექტივები

პოსტ-საბჭოთა რეგიონის პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია გრძელვადიანი და მტკიცე ალიანსების არარსებობა უმეტეს ქვეყნებს შორის. რეგიონის ქვეყნებს შორის გამყოფი ხაზები ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში გაჩნდა, როდესაც მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი წარმოიშვა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. მეორეს მხრივ, რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ უკრაინაში დიდი პოლიტიკური ვნებათაღელვა გამოიწვია და შედეგად, მწვავე სუბორდინაცია ჩამოყალიბდა მოსკოვსა და კიევს შორის. ამასთან, რუსეთის მხარდაჭერა დნესტრისპირეთის, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკების მიმართ და 2008 წლის ინტერვენციის შედეგად საქართველოს ტერიტორიების 20%-ის მითვისება, გაცილებით რთულ სურათს იძლევა რეგიონალური თანამშრომლობის თვალსაზრისით.

გასულ წლებში საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ავტორიტარიზმიდან დემოკრატიული მმართველობის ფორმაზე გადასვლით. აღსანიშნავია, რომ ეს ფაქტი არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიერ არის აღიარებული, არამედ საერთაშორისო დონეზეც. თუმცა, რეფორმების პროცესში პროგრესთან ერთად, მნიშვნელოვანი უკუსვლები და გამოწვევებიც აღინიშნებოდა. რეგიონის ქვეყნების დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ ხანებში შეინიშნებოდა ეკონომიკური კავშირების გაუარესება, რამაც სხვა ფაქტორებთან ერთად, გამოიწვია უმუშევრობის ზრდა და მოსახლეობის გაღარიბება. სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის მექანიზმების შესუსტებამ (ხშირ

შემთხვევაში კი არარსებობამ) განაპირობა კორუფციის ზრდა. რეგიონის უმეტეს ქვეყნებში ჯერ კიდევ ბევრი ცვლილებები და რეფორმებია გასატარებელი დემოკრატიის განვითარებისა და სახელმწიფო სტრუქტურების გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად.

თუ შევაჯამებთ, ახლად აღმოცენებულმა დამოუკიდებელმა, თუმცა დასუსტებულმა ქვეყნებმა ვერ უზრუნველყვეს მოსახლეობა მშვიდობიანი და უზრუნველი ცხოვრების პირობებით. შედეგად, სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის ნაწილი არახელსაყრელი საცხოვრებელი პირობების მიზეზად არა მხოლოდ გარკვეულ პოლიტიკოსთა და მთავრობის წარმომადგენელთა მიერ გატარებულ პოლიტიკას ასახელებს, არამედ სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ განცხადებულ დემოკრატიის ზოგად პრინციპებს აყენებს ეჭვქვეშ. გაცილებით დეტალური ინფორმაცია რეგიონში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების შესახებ მოცემულია ნაშრომის მე-4 თავში, რომლებიც გამყარებულია რიცხობრივი ანალიზითა და შესაბამისი კვლევების შედეგებით.

დასკვნები და რეკომენდაციები

პირველ რიგში უნდა გვახსოვდეს მთავარი საფრთხეები და შესაბამისად უნივერსალური უსაფრთხოების ფაქტორები, რომლებიცაა: სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური (ენერგო რესურსების მნიშვნელობიდან გამომდინარე ენერგო ფაქტორები შესაძლებელია დამოუკიდებლად განვიხილოთ), სოციალური (რომელიც მოიცავს დემოგრაფიულ საკითხებს, ადამიანის უფლებებსა და ა.შ.), კულტურული, გარემო და საინფორმაციო ფაქტორები. საკმაოდ ხანია ტერორიზმი განიხილება სხვა საფრთხეებისაგან დამოუკიდებლად (9/11 ტერაქტების სერიიდან მოყოლებული), აღსანიშნავია ბოლო პერიოდში ტერორისტული ქმედებების გააქტიურება ევრაზიის არეალში. ამასთან, არალეგალური ვაჭრობა, იარაღისა და ნარკოტიკული ნივთიერებების კონტრაბანდა და სხვა გარდამავალი საფრთხეები რისკის ქვეშ აყენებს რეგიონის უსაფრთხოების პოლიტიკას.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ მიუხედავად გამკლავებადი საფრთხეებისა და რისკების არსებობისა, მათი არსებობა დიდი გავლენას ახდენს ქვეყნის უსაფრთხოებაზე და თუ რომელიმე კომპონენტი უსაფრთხოების თვალსაზრისით შესუსტებულია, მაშინ საუბარი „მდგრად და სტაბილურ“ უსაფრთხოებაზე საფუძველსაა მოკლებული. აქედან გამომდინარე, ყველა ადამიანი, სახელმწიფო თუ რეგიონი საჭიროა შეეცადოს უსაფრთხოების განმტკიცებას ყველა მასთან დაკავშირებულ ასპექტში, თუკი მათ სურთ ჰქონდეთ რეალური, სტაბილური და გრძელვადიანი უსაფრთხო გარემო.

იმისათვის, რომ ქვეყანამ უზრუნველჰყოს რეალური, სტაბილური და მდგრადი უსაფრთხოების გატარება, აუცილებელია:

- ობიექტურად და ზედმიწევნით განისაზღვროს არსებული და პოტენციური საფრთხეები და გამოწვევები (საფრთხეები - ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმების გათვალისწინებით)
- ნეიტალიზება მოხდეს კონფლიქტური სიტუაციებისა და საფრთხეების (პრევენციული ღონისძიებების გატარება)
- უკვე არსებული კონფლიქტის შემთხვევაში, უმოკლეს ვადაში მოხდეს არსებული კონფლიქტის გადაჭრა და კონფლიქტის მართვის პროცესების გაძლიერება.

ამასთან, პატარა, შედარებით სუსტი ქვეყნებისათვის (როგორცაა რეგიონის ქვეყნების უმეტესობა) მთავარი საშინაო გამოწვევა ისევ და ისევ არის არადემოკრატიული სახელმწიფო წყობილება, რომლის მთავარი მახასიათებლებიცაა - არადემოკრატიული (ან არასაკმარისად დემოკრატიული) კონსტიტუცია და საარჩევნო სისტემა.

- შედეგად ვიღებთ - კორუფციულ პარლამენტსა და არადემოკრატიულ კანონებს;
- ასევე, კორუფციულ და არადემოკრატიულ აღმასრულებელსა და სასამართლო სისტემებს.

შესაბამისად ვიღებთ „ფსევდო“ ან „არშემდგარ“ სახელმწიფოებს, მუდმივ ეკონომიკურ კრიზისს, სოციალურ დაძაბულობებს, უუნარობას არსებული შიდა კონფლიქტების მოგვარების პროცესში და სამომავლო პერპექტივას ახალი კონფლიქტების წარმოშობისა და ქვეყნის ერთიანობის მსხვერვისათვის. უფრო მეტიც, მთავარი რეგიონის ქვეყნების საგარეო გამოწვევები განპირობებულია სწორედ შიდა საფრთხეების არსებობით.

უსაფრთხოების უზრუნველყოფა რეგიონში საჭირობოტო მნიშვნელობისაა რეგიონის ქვეყნებისათვის რამდენიმე ფაქტორიდან გამომდინარე:

1. ისტორიული და გეოგრაფიული მიზეზებიდან გამომდინარე, უსაფრთხოების საკითხები გაცილებით მნიშვნელოვანია პოსტ-საბჭოთა რეგიონისათვის ვიდრე რომელიმე სხვა რეგიონისათვის;
2. მილიონობით მოსახლის საცხოვრებელი პირობები არ არის მხოლოდ ამ ქვეყნის მთავრობის საზრუნავი და პრეროგატივა;
3. უსაფრთხოება უზრუნველყოფს ეროვნული ინტერესების განმტკიცებას რეგიონში.

თუ ზემოთ აღნიშნული შიდა საფრთხეები არსებობს რეგიონის რომელიმე ქვეყანაში მაინც, ეს ქმნის ხელშემწყობ გარემოს გარე საფრთხეების გაძლიერებისათვის და წარმოადგენს გამოწვევას არამხოლოდ რომელიმე ერთეული ქვეყნის, არამედ მთელი რეგიონისათვის. განსაკუთრებით ცხადია აღნიშნული საფრთხეები ისეთ რეგიონში, რომელიც მწვავე კონფრონტაციის კერა, ყურადღებისა და ძალთა ბალანსის გადანაწილების ეპიცენტრია მისი სტრატეგიული, ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე.

ასეთ სიტუაციაში, რეგიონალური უსაფრთხოების ნამდვილი, სტაბილური და მდგრადი სისტემის ჩამოყალიბება მხოლოდ თეორიულადაა შესაძლებელი და დამოკიდებულია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროცესების არსებობაზე. ასეთი პროცესები, უპირველეს ყოვლისა, რეგიონის ქვეყნების თანამშრომლობა და საერთო

რისკებისა და გამოწვევების გამკლავებისათვის ერთობლივი გეგმების შემუშავება/განხორციელება.

2014 წლის ყირიმის ანექსიის შემდგომ პერიოდში, რუსეთმა დაიწყო ფართო მასშტაბიანი მილიტარიზაციის განხორციელების პროგრამა, რომელიც აძლევს რუსეთს იმის საშუალებას განიმტკიცოს დომინანტის პოზიცია შავი ზღვის აუზის ქვეყნებს შორის. სამხედრო ინფრასტრუქტურის განვითარებით მას შესაძლებლობა აქვს მოიგერიოს როგორც საჰაერო, ასევე სახმელეთო საფრთხეები, შეასუსტოს ნატოს გავლენა მოსაზღვრე ქვეყნებზე და გაუწიოს სამხედრო დახმარება რეგიონში არსებულ პარტნიორ ქვეყნებსა და მოკავშირეებს. ამასთან, რუსეთი მიზნად ისახავს გაზარდოს სამხედრო მიღწევადობა მოსაზღვრე რეგიონებზე, როგორცაა ცენტრალური ევროპა, ბალკანეთი, სამხრეთ კავკასია, ხმელთაშუა ზღვისპირეთი და ახლო აღმოსავლეთი. რუსეთის სამხედრო ბაზების აგება და გაძლიერება შესაძლოა გახდეს საფრთხე საზღვაო ვაჭრობისა და ენერჯო კორიდორების ფუნქციონირებისათვის, რაც ცალსახად ნეგატიურ ზეგავლენას იქონიებს შავი ზღვის რეგიონის მოსაზღვრე ქვეყნების ეკონომიკაზე და საფრთხეს შეუქმნის ევროპულ ენერჯო დივერსიფიკაციის გეგმას.

მიუხედავად რეგიონის ქვეყნების არაერთი გაფრთხილებისა, ნატო ბოლო წლების განმავლობაში სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხოების არქიტექტურის განმტკიცებას და განვითარებას შავი ზღვის რეგიონში. ვარშავაში გამართულ ნატოს სამიტის შემდეგ, არსებობდა ეჭვი, რომ ალიანსი „დაზღვევის პოზიციიდან“ გადაინაცვლებდა „შეკავების პოლიტიკაზე“ და ღიად დაუპირისპირდებოდა რუსეთს საკუთარი აღმოსავლეთ ნაგის დასაცავად, რომელიც ასევე მოიაზრებს შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებსაც.

ყველაზე ეფექტური და გამძლე ფორმულა უსაფრთხოების გასაძლიერებლად რეგიონში და ყველაზე მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის საფრთხეების ლიკვიდირებისათვის შესაძლოა იყოს ძალთა ბალანსის დაცვა რეგიონში. შესაბამისად, რეგიონის პოლიტიკაში ჩართული მოთამაშეების ინტერესთა დაბალანსება და ამავდროულად ერთობლივი უსაფრთხოების პარტნიორობის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს პოსტ-საბჭოთა სივრცის სტაბილურობისა და

უსაფრთხოების განმტკიცებას. სახალხო დემოკრატიის განვითარება ასევე იმედის მომცემია ერთიანი რეგიონის კონფლიქტების მენეჯმენტისა და გადაჭრის პროცესში.

ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევის შედეგებმა ცხადყო რომ სოციალურ მეცნიერებათა სფეროს წარმომადგენლების, მკვლევარებისა და ექსპერტების უმეტესობა თანხმდება „გაერთიანების“ იდეაზე. გამოკითხულ რესპონდენტთა 88 % ამბობს, რომ რეგიონალური თანამშრომლობა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია რეგიონის კეთილდღეობისათვის და არსებული რისკებისა და გამოწვევების საწინააღმდეგო ზომების მისაღებად. პოსტ-საბჭოთა რეგიონის ქვეყნებმა ერთობლივი ძალისხმევით უნდა მიიღონ რეგიონალური პრიორიტეტების შესაბამისი ზომები.

სამწუხაროდ, პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები რეგიონის ყველა ქვეყანაში ნელა მიმდინარეობს და განიცდის უკუსვლას. რაც მნიშვნელოვნად აფერხებს დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას და არ გვაძლევს არსებული «გაყინული» კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების შესაძლებლობას.

ჩემი თვალსაზრისით, კრიზისიდან გამოსავალი მხოლოდ მოლაპარაკებებშია. აუცილებელია მუდმივი მუშაობა და ჩართულობა კონფლიქტების მართვისა და გადაჭრის პროცესში. რეგიონალური დიალოგის განვითარებას დღესდღეობით ალტერნატივა არ აქვს (პრაგმატული პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით), დიალოგი უნდა გაგრძელდეს უფრო ფართო მასშტაბით და ყოველგვარი წინაპირობების გარეშე, ამასთან, დისკუსიები უნდა მოიცავდეს რეგიონის დღის წესრიგში მდგარ ყველა საკითხს და ყველა ჩართულმა მხარემ ხელი უნდა შეუწყოს დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საკუთარი მიწა-წყლის დაბრუნებას.

რეგიონის ინტენსიური მილიტარიზაცია ერთ-ერთი თვალსაჩინო საფრთხეა რეგიონისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი აზრი უნდა იქნას მობილიზებული საფრთხეების თავიდან ასაცილებლად და ხელი შეუწყოს შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას. ნებისმიერ სიტუაციაში არსებობს გამოსავალი, რეგიონალური დიალოგი უნდა განვითარდეს „ნაბიჯ-ნაბიჯ“ პრინციპით

და თანდათანობით მივალწიოთ რეგიონის ქვეყნების ურთიერთობების ნორმალიზაციას რუსეთთან.


რეგიონის სტრატეგიული მდებარეობისა და გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, მსოფლიო მოთამაშეების, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის როლი და ჩართულობა გაიზარდა რეგიონალურ პოლიტიკაში. საერთაშორისო საზოგადოება ასევე თანხმდება, რომ მოლაპარაკებები ერთადერთი რეალური გამოსავალია შემქნილი სიტუაციიდან. ქვემოთ მოცემული გრაფიკული ანალიზი წარმოადგენს გამოკითხვის შედეგად მიღებული შედეგების ანალიზს შავი ზღვის რეგიონში არსებული კონფლიქტების გადაჭრასთან მიმართებაში. როგორც გაირკვა, რესპოდენტთა უმრავლესობა კონფლიქტების დარეგულირების მშვიდობიან გზას ემხრობა. ისინი, ვისაც საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი ომის თანმდევი შედეგები და პროცესები, ამტკიცებენ, რომ სამხედრო ესკალაციების ადგილი 21-ე საუკუნეში არ არის. გამოკითხვამ ასევე ცხადჰყო, რომ ყველაზე ქმედითი იარაღი კონფლიქტების გადაჭრის პროცესში არის რბილი ძალის გამოყენება: თანამშრომლობა, გრძელვადიანი მოლაპარაკებები, აქტიური ჩართულობა და ქმედითი ღონისძიებების გატარება საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, საერთაშორისო მედიაცია და საზოგადოება და არაფორმალური (სახალხო) დიპლომატია.

გამოკითხულ რესპოდენტთა 75% ყველაზე ხელისშემშლელ ფაქტორად რეგიონის პოლიტიკაში რუსეთს მიიჩნევს, ამასთან, ისინი აღნიშნავენ, რომ დასავლეთია ერთადერთი იარაღი რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ. თუმცა დასავლეთს შეზღუდული შესაძლებლობები აქვს რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. ერთადერთი შესაძლებლობა რაც მათ აქვთ არის ეკონომიკური და სავიზო სანქციების დაწესება რუსეთის წინააღმდეგ და მისი იზოლირება მსოფლიო მმართველობისაგან (დიდი რვიანიდან შესაძლო გარიცხვა და მსოფლიოს სხვადასვა საკითხებში ჩართულობის შეზღუდვა.). თუმცადა, ყოველივე ზემოთქმულს მცირე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია კრემლის იმპერიალისტურ ბუნებაზე. ამასთან, დასავლეთის ქვეყნების მიდგომა არ არის ერთსულოვანი

სანქციებთან მიმართებაში. თანდათან დასავლეთი უბრუნდება ჩვეულ ბიზნესის პოლიტიკას რუსეთთან მიმართებით - აღნიშნავს პროფესორი ამირან კავაძე ინტერვიუში.

ყველა თანხმდება იმაზე, რომ რეგიონში არსებული კონფლიქტების დარეგულირებისა და გადაჭრისათვის აუცილებელია რუსეთის, დასავლეთის ქვეყნებისა და რეგიონის ქვეყნების ერთიანი ძალისხმევა. თუმცა, მხოლოდ ოცნებაა იმაზე ფიქრი, რომ რუსეთი დამოუკიდებლად გამოიჩენს კეთილ ნებას ჩაებას კონფლიქტების მოგვარებისა და დარეგულირების საკითხებში, შესაბამისად კრემლისათვის ოპტიმალურ ვარიანტს წარმოადგენს არსებული კონფლიქტების „გაყინვა“ მის ახლო სამეზობლოში. უნდა გვახსოვდეს, რომ რეგიონის პოლიტიკის მთავარი მოთამაშე ჯერ კიდევ რუსეთია და მოვლენების დადებითი განვითარება საკმაოდ რთულად მისაღწევია პუტინის რეჟიმის პირობებში. გარდა ამისა, აშკარაა რომ არც ამერიკის შეერთებული შტატები და არც ევროპა არ ჩაებმევა რუსეთთან საბრძოლო მოქმედებაში. კრემლის იძულება დაემორჩილოს დასავლეთის მოთხოვნებს, მხოლოდ ფართომასშტაბიანი სამხედრო ძალების მოქმედების შედეგადაა შესაძლებელი. ამიტომაც, დასავლეთის მხარდაჭერა განისაზღვრება შეზღუდული პოლიტიკური დახმარებითა და ეკონომიკური ხელშეწყობით. კრემლს კი ზემოაღნიშნული სულაც არ მიაჩნია რეგიონში თავისი სტრატეგიული ინტერესების გატარების დამაბრკოლებელ ფაქტორად.

კონფლიქტების გადაჭრის ინსტრუმენტები



კონფლიქტების ტრანსფორმაციის მიდგომა ხაზს უსვამს „მოქალაქეთა დიპლომატიის“ როლს კონფლიქტების გადაჭრის პროცესში. საზოგადოების ამ ფენას წარმოდაგენს მოქალაქეთა ის ნაწილი, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოსცადეს კონფლიქტები და მისი შედეგები. ხალხთა შორის ურთიერთობების დათბობა და ნორმალიზაცია შესაძლოა გახდეს შერიგებისა და მშვიდობის შენარჩუნების საფუძველი. სახალხო დემოკრატია წარმოადგენს „მშვიდობის კორიდორს“ დაპირისპირებულ მხარეებს შორის, რომელიც უზრუნველყოფს კონფლიქტისა და მტრობის პროცესების შესუსტებას საზოგადოების ყველა ფენის ჩართულობის მეშვეობით. გარდა ამისა, სამოქალაქო საზოგადოების როლის გაძლიერება და საზოგადოების ჩართულობით უზრუნველყოფილი შერიგების პროცესები არის პრინციპული მნიშვნელობის მქონე მშვიდობის დამყარების პროცესების გაძლიერებისათვის საზოგადოების ყველა სექტორში.

შავი ზღვის რეგიონის სტაბილურობა დამოკიდებულია რეგიონის პოლიტიკის მოთამაშეთა ინტერესთა ბალანსზე, რეგიონის ქვეყნების მიდგომებსა და მათი ჩართულობის დონეზე. სტაბილური და ძლიერი ცენტრალური ინსტიტუციების არსებობა უნდა გახდეს ხელშემწყობი ფაქტორი და საფუძველი ჩაუყაროს რეგიონალური დიალოგისა და თანამშრომლობის განვითარებას, რაც დაფუძნებული უნდა იყოს ორმხრივ მზაობაზე, მონდომებასა და დათმობაზე. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს რეგიონის გლობალურ პოზიციურებას. მერყევი, არადემოკრატიული და ხშირად არასაკმარისად დემოკრატიული სახელმწიფო ინსტიტუტები, სტრატეგიები და პროცესები ასუსტებს უსაფრთხოების, სტაბილურობისა და რეგიონის განვითარების შესაძლებლობებს. უნდა გვახსოვდეს, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში არ არსებობს მუდმივი მეგობრები და მტრები, არსებობს მუდმივი სახელმწიფო ინტერესები, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული ქვეყნების საშინაო და საგარეო პოლიტიკის ფორმირებას. შესაბამისად, სტრატეგიულ გაერთიანებებზე სრული დამოკიდებულება შესაძლოა სახიფათოც კი იყოს. რეგიონალური უსაფრთხოების სიტუაციის სტაბილიზაციისათვის

აუცილებელია ჩამოყალიბდეს უფრო ვრცელი და კომპლექსური სისტემა, რომელიც ფართო მასშტაბიან თანამშრომლობის ფორმატს ჩაუყრის საფუძველს.

სამეცნიერო ნაშრომები

წიგნი:

1. Tskhovrebadze, T. (2016). *The Volatile South Caucasus. LAP LAMBERT Academic Publishing.*

სტატიები:

1. Tskhovrebadze, T. (2016). GLIMPSE OF SECURITY ARCHITECTURE OF POST SOVIET SPACE: The Soviet Legacy, *Journal of Social Sciences*, International Black Sea University, Volume 5, Issue I. pp. 65-69.
2. Tskhovrebadze, T. (2015). Energy Union and Visegrad Cooperation. *Visegrad School of Political Studies*. Pp.30-32.
3. Tskhovrebadze, T. (2015). Transnational Security of South Caucasus. *Journal of Social Sciences*, International Black Sea University, Volume 4, Issue II. pp. 43-47.
4. Tskhovrebadze, T. (2013). The Global Fight of Terror: Implications of 9/11. *Journal of Social Sciences*, pp.23-28.